აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 1

20 ივნისი 2011 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის N4 დადგენილებით (გაზეთი "აჭარა" 23. 05. 2006 წ. N91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის ,,თ" და ,,მ" პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) უზრუნველყოფს უსკოს მიერ მიღებული დადგენილებების გადაცემას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ში გამოქვეყნების მიზნით.

მ) უზრუნველყოფს უსკოს დოკუმენტაციის არქივში განთავსებას, შენახვასა და დამუშავებას".

2. მე-11 მუხლის ,,თ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) ახდენს სსიპ ,,საქართველოს საკანომდებლო მაცნეს" ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიების საჭიროებისამებრ მოძიება-დამუშავებას, უსკოს წევრებისა და აპარატის

თანამშრომლებისათვის ნორმატიული აქტების ან/და მათი ძალაში შესვლის შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და მიწოდებას“.

3. მე-14 მუხლს „მ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$მ^1$“ პუნქტი:

„$მ^1$) არასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრირებას უწევს უსკოს ვებგვერდს“.

4. მე-18 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი:

„1^1 არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე უსკოში საარჩევნო დავებზე განცხადება-საჩივრის წარდგენა შესაძლებელია უსკოს აპარატის საერთო სამსახურში კალენდარული დღის დილის 10 საათიდან 20 საათამდე“.

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია